ევროკავშირი
საქართველოსთვის

GOETHE INSTITUT

თანადამფინანსებელი და
განმახორციელებელი

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის მეთოდოლოგია

შემოქმედებითი კომპასი საქართველო

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის მეთოდოლოგია | თბილისი | 2024

შესრულებულია პროექტის „შემოქმედებითი კომპასი“ ფარგლებში

ავტორები:

თამარ გაჩეჩილაძე
ნატალია ნებიერიძე

2024 წ.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია პროექტი „შემოქმედებითი კომპასი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

აბსტრაქტი

რუკა, როგორც უხილავის, ხილულად ქცევის ინსტრუმენტი.

დენის ვუდი

კარტოგრაფიის ისტორია ათასწლეულებს მოიცავს, ანტიკური ეპოქიდან დაწყებული, ყოველი მომდევნო ეპოქის კვალდაკვალ, მიჰყვება ადამიანის ცოდნის ევოლუციას, აღმოჩენებს და ტექნოლოგიურ მიღწევებს. ისტორიის მანძილზე კარტოგრაფია და რუკების შედგენა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამყაროს აღქმასა და შეცნობაში, ნავიგაციაში, მართვაში, ინფორმაციის შენახვასა და შეგროვებაში. თანამედროვე კარტოგრაფიის განვითარებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უახლესი ტექნოლოგიები. რუკები ხშირად არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ სახელოვნებო და კვლევითი ინტერესითაც იქმნება. თანამედროვეობაში რუკა და კარტოგრაფია, ხშირად გამოიყენება ყოველდღიურობის აღქმის, კრიტიკულად გააზრების და დაფიქსირების ინსტრუმენტებად. სივრცითი, მატერიალური და სოციალური კავშირების ვიზუალიზაცია, მათი მნიშვნელობების რუკაზე დატანა და კონკრეტულ ადგილთან ურთიერთმიმართების გამორკვევა, მეთოდოლოგიური ინსტრუმენტია ურბანული ანთროპოლოგიაში. არსებობს რუკის შედგენის უამრავი სხვადასხვაგვარი პრაქტიკა, ინტერდისციპლინარული მიდგომა, თუ მეთოდი. მოცემული ნაშრომის პირველ ნაწილში, განხილული იქნება კარტოგრაფიის და რუკის შედგენის სხვადასხვა მეთოდები, ისტორიული მნიშვნელობები, საბჭოთა პერიოდის ურბანული სისტემის და არქიტექტურის მოკლე ისტორია. ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა უშუალოდ ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის მეთოდოლოგიას, პრინციპებს, ხელსაწყოებს და მათი გამოყენების გზამკვლევს.

სარჩევი

ტერმინები 5

შესავალი 6

ნაწილი პირველი 8

01 რუკათშედგენის მოკლე ისტორიული მონახაზი 8

01.1. მოკლე ისტორიული დისკურსი 8
01.2. რა არის რუკის დანიშნულება და როგორ წავიკითხოთ ის 9
01.3. რუკის ტიპები 9
01.4. თანამედროვე ტექნოლოგია და ციფრული რუკები 10

02 საბჭოთა სისტემა და დღევანდელი სურათი 11

02.1. რეფლექსია წარსულზე 11
02.2. საბჭოთა ქალაქის ურბანული სტრუქტურა და არქიტექტურა 12
02.3. სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა 13
02.4. მომავლის პერსპექტივა – ტრანსფორმაცია მეხსიერების შენარჩუნებით 14

ნაწილი მეორე 22

01 მუნიციპალიტეტის ტერიტორიული სურათი 22

01.1. კვლევისპროცესი და მისი შემადგენელი ეტაპები 22
01.2. ეტაპი I – ინფორმაციის მობილიზება 23
01.3. ეტაპი 2 – საველე სამუშაო 24
01.4. აღსანუსხი ინფრასტრუქტურის კატეგორიები 25

02 მონაცემთა ბაზა და ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვა 27

02.1. შეგროვებული მასალის გაციფრულება და თავმოყრა 27
02.2. სამუშაო ფაილების გამოყენება 28

რეზიუმე 29

გამოყენებული ლიტერატურა 31

რას ვგულისხმობთ, როცა ვსაუბრობთ შემოქმედებით ინდუსტრიებზე? 32

ტერმინები

Mapping – (მეფინგი) აღნუსხვა – შეგროვებული მონაცემების ბაზაზე რუკის შედგენა (ორ ეტაპიანი პროცესი – I. მონაცემების შეგროვება, – II. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით რუკის შედგენა/ინფრასტრუქტურის აღნუსხვა);

Desktop study – არსებული ინფორმაციის მობილიზება (მეტაფორულად) სამუშაო მაგიდასთან, მაგალითად წიგნებიდან, კომპიუტერიდან;

Field work – საველე სამუშაო – ტერმინი, რომლითაც მოიხსენიება კვლევის ჩატრებისას პირველადი ინფორმაციის შეგროვების პროცესი (Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი http://www.nplg.gov.ge/)

Digitalization – დიგიტალიზაცია – გაციფრულება;

Capacity building – პროცესი, რომლის მეშვეობითაც ხდება არსებული რესურსების, უნარების გაუმჯობესება, გაძლიერება კომუნებსა თუორგანიზაციებისთვის, რათა მათ სამომავლოდ შეძლონ ზრდა, განვითარება და თანამედროვე სამყაროსთან ადაპტაცია და სინქრონში ყოფნა;

Visual language – ვიზუალური თხრობა/ენა;

Visual complexity – ვიზუალური კომპლექსურობა, სიმდიდრე, სიუხვე;

Render – (რენდერი) – ვიზუალური წარმოდგენის ან გამოსახულების გენერირების პროცესი 3D მოდელიდან ან სცენიდან. კომპიუტერული გრაფიკისა და დიზაინის კონტექსტში, რენდერირება გადამწყვეტ როლს ასრულებს რეალისტური და დეტალური სურათების, ანიმაციების ან სხვა ვიზუალური სიმულაციების შექმნაში.

Storytelling – ზეპირი გადმოცემა;

Urbanization – ურბანიზაცია – ქალაქის ზრდისა და განვითარების პროცესი;

Cultural Landscape – კულტურული ლანდშაფტი – ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად შეცვლილი გეოგრაფიული ლანდშაფტი;

Urban Anthropology – ურბანული ანთროპოლოგია – დარგი, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა პოლოტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დინებებს, რომლებიც აყალიბებენ ურბანულ ფორმებსა და პროცესებს. (https://www.britannica.com/)

Creative Industries – (იხილეთ დანართი #2): „შემოქმედებითი ინდუსტრიები არის იმ სექტორთა ერთობლიობ რომლებიც მატერიალურ და სოციალურ სიკეთეს, შემოქმედებითობასა და ნიჭზე დაფუძნებული პროდუქტისა თუ მომსახურების შექმნით აგენერირებენ. შემოქმედებითი ინდუსტრიების მიერ შექმნილი პროდუქტი თუ მომსახურება, ჩვეულებრივ, დაცულია საავტორო უფლებით.“ – *საქართველოს შემოქმედებითი ეკონომიკის სტრატეგია*

Creative economy – შემოქმედებითი ეკონომიკა – „შემოქმედებითი ეკონომიკა შემოქმედებითი ინდუსტრიების ყველა შემადგენელი ნაწილის ჯამია, ვაჭრობის, შრომისა და წარმოების ჩათვლით (UNCTAD). შემოქმედებითი ინდუსტრიების ყველა სექტორის მიერ წარმოებული ეკონომიკური სიკეთე ქმნის შემოქმედებით ეკონომიკას. გარდა ამისა, შემოქმედებით ეკონომიკაში ითვლება სხვა სექტორებში დასაქმებული შემოქმედებითი პროფესიების მიერ შექმნილი დოვლათიც.“ საქართველოს შემოქმედებითი ეკონომიკის სტრატეგია.

სივრცითი მონაცემი (გეოგრაფიული მონაცემი – ISO 19100) – ნებისმიერიმონაცემი, რომელიც პირდაპირან არაპირდაპირ უკავშირდება კონკრეტულ ადგილმდებარეობასსივრცეშიან გეოგრაფიულ არეალს; (ეროვნული სივრცითიმონაცემებისინფრასტრუქტურისშესახებ);

კარტოგრაფია – მეცნიერება, რომელიც შეისწავლისგეოგრაფიულირუკებისშედგენას. (https://www.britannica.com/)

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის პარალელურად ჩამოიშალა სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების სისტემური ჯაჭვი. შედეგად, საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში დაცარიელებული და ფუნქცია დაკარგული შენობები მრავლად შემორჩა. მონოფუნქციურ რეგიონებში, გამოყენება ვეღარ პოვა კულტურის სახლებმა, კინოთეატრებმა, სპორტულმა დარბაზებმა, სხვადასხვა სამრეწველო ინფრასტრუქტურამ. სწორედ ამიტომ, ფართოა შეცვლილი პარადიგმის მქონე შენობების დიაპაზონი – კულტურული, საგანმანათლებლო, სამრეწველო, ინფრასტრუქტურული თუ საწარმოო. დღეს ეს ობიექტები სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაშია, უმეტესად უფუნქციოა, გაძარცულია, და დროსთან ერთად მათი მდგომარეობა მძიმდება.

უცნობია, თუ რა რაოდენობის და მოცულობისაა უძრავი ქონება საქართველოს მასშტაბით, რომელიც საბჭოთა მემკვიდრეობად შეიძლება მოვიხსენიოთ. ასევე, არ არის გააზრებული უფუნქციოდ დარჩენილი სივრცეების მნიშვნელობა, მათი რესურსად განხილვა, ან რიგ შემთხვევაში მათი დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დაუკავებელი და უფუნქციო ინფრასტრუქტურის აღნუსხვის სახელმძღვანელოს, სადაც აღწერილია ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მოძიების, შეგროვების და ჩაწერის მეთოდები. ნაშრომში აღწერილი და განმარტებულია, თუ რა თანმიმდევრული ნაბიჯებით უნდა შეგროვდეს ინფორმაცია ფუნქცია დაკარგული (უფუნქციო, დაუკავებელი, ან ნაწილობრივ გამოუყენებელი) შენობების შესახებ, და შემდეგ როგორ მოხდეს მობილიზებული ინფორმაციის სისტემატიზაცია სამომავლო გამოყენების მიზნით.

ნაშრომი იყოფა ორ ძირითად ნაწილად და მოიცავს შემდეგ თავებს:

ნაწილი პირველი

თავი I – რუკათშედგენის მოკლე ისტორიული მონახაზი

ამ თავში განხილულია რუკათშედგენის მოკლე ისტორიული დისკურსი და კარტოგრაფიის ისტორია, თუ როგორ და რა მიზნით იქმნებოდა ძველი რუკები, როგორ განვითარდა და დაუკავშირდა ის სამეცნიერო, თუ სახელოვნებო და შემეცნებით სფეროებს. ასევე, საუბარი ეხება ზოგადად რა არის რუკის დანიშნულება და როგორ წავიკითხოთ და გავარჩიოთ რუკა, როგორც გარემოს ვიზუალური თხრობა, აბრევიატურების, აღნიშვნების და სიმბოლოების მეშვეობით.

ამავე თავში აღწერილია თანამედროვე ტექნოლოგიები, ციფრული პლატფორმები და გეოინფორმაციული სიტემები(GIS), მათი გამოყენების სფეროები და საჭიროებები.

თავი 2 – საბჭოთა სისტემა დადღევანდელი სურათი

მეორე თავში საუბარია ისტორიულ კონტექსტზე და საბჭოთა სისტემის შიგნით იდეოლოგიურ სტრატეგიულ მიმართებებზე, რამაც ჩამოაყალიბა საბჭოთა ქალაქის ურბანული სტრუქტურა. აქვე, საუბარი ეხება არქიტექტურული ობიექტების მნიშვნელობას და მათ სოციალურ კონტექსტს.

იმისათვის, რომ უკეთ განვმარტოთ ურბანული სტრუქტურების კულტურული მნიშვნელობა, ძალიან მოკლედ და ზოგადად ვეხებით საბჭოთა ეკონომიკურ მოდელს და მისი დაშლის შედეგად მიღებულ დღევანდელობას, თუ რამდენად განაპირობა ინფრასტრუქტურული ჯაჭვის მოშლამ მიღებული შედეგი.

მეორე თავის შეჯამებაში ვსაუბრობთ პერსპექტივებზე, სამომავლო განვითარების შესაძლებლობებზე, შენარჩუნებადი განახლების და ხელახალი გამოყენების მაგალითებისა და რეგიონალური გამოცდილების აღწერით.

ნაწილი მეორე

თავი 1 – მუნიციპალიტეტის ტერიტორიული სურათი

პირველი თავი ყურადღებას ამახვილებს კვლევის პირველი ეტაპის – არსებული ინფორმაციის მობილიზების ტექნიკებსა და საშუალებებზე, ინფორმაციის მოძიების ხერხებზე. აქვე, განიმარტება საველე სამუშაოების შესრულების სპეციფიკა – რა არის საველე სამუშაო და როგორ განვახორციელოთ, ველზე მუშაობის დანიშნულება – აუცილებლობა და საჭირო აღჭურვილობა.

ამ თავში მოცემულ განმარტებებს აქვს ერთგვარი გზამკვლევის სახე, რომელიც ეხმარება მონაწილეებს/მკვლევრებს ინფორმაციის მოძიებაში, შერჩევასა და საველე სამუშაოების განხორციელებაში.

აქვე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კრიტერიუმების შემუშავებას, რის მიხედვითაც შეფასდება ადგილი/ობიექტი კვლევის ფარგლებში განსახილველად.

თავი 2 – მონაცემთა ბაზა და ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვა

მეორე დასკვნითი თავი ეთმობა შეგროვებული მასალის (ობიექტების საინფორმაციო პასპორტი), მობილიზებასა და მისი კატეგორიზაციის ინსტრუმენტების გაცნობას. ასევე, განიმარტება სამუშაო ფაილების გამოყენების ინსტრუქცია.

ბოლოს რეზიუმეში, ჯამდება პროექტის ფარგლებში გამოყენებული მეთოდოლოგიით მისაღები შედეგები, რომელმაც მუნიციპალიტეტებს უნდა მისცეს შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეადგინონ მონაცემთა ბაზა და აღნუსხონ საკუთარ ტერიტორიაზე განთავსებული უფუნქციო, დაუკავებელი, ან ნაწილობრივ გამოუყენებელი ადგილები.

ნაწილი პირველი

01 რუკათშედგენის მოკლე ისტორიული მონახაზი

01.1. მოკლე ისტორიული დისკურსი

კარტოგრაფიის ისტორია – როგორ და რა მიზნით იქმნებოდა ძველი რუკები

კარტოგრაფიის ისტორია, ცივილიზაციის განვითარების პარალელურად ვითარდება. პირვანდელი გამოსახვის საშუალებებით დაწყებული, ადრეული თიხის ფირფიტები, ხშირად ასახავდნენ ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს ან ასტრონომიულ ნიშნებს. უძველესი მესოპოტამიური, ეგვიპტური და ჩინური ცივილიზაციები, ქმნიდნენ მარტივ რუკებს ნავიგაციისა და მიწის საზღვრების გამოსახატავად. ბერძნებმა და რომაელებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კარტოგრაფიაში. რომის იმპერიის დროს რუკები გამოიყენებოდა სამხედრო სტრატეგიების შესადგენად, ადმინისტრაციული მიზნებისთვის და სავაჭრო გზებისთვის. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, მუსლიმმა მეცნიერებმა გააფართოვეს და განავითარეს კლასიკური კარტოგრაფიული ცოდნა, შექმნეს ზუსტი მსოფლიო რუკები. შუა საუკუნეების ევროპაში ჩნდება რუკები, რომლებიც რელიგიურ სიმბოლიკას და გეოგრაფიულ ცოდნას აერთიანებს, ეს რუკები mappa mundi-ის სახელითაა ცნობილი.

რენესანსის ეპოქაში კლასიკურ ბერძნულ და რომაულ ტექსტებთან და კვლევებთან დაბრუნება ხელს უწყობს კარტოგრაფიის განვითარებას. ინოვაციები, როგორიცაა კომპასი, ასტროლაბი და სტამბა, ახდენს რევოლუციას რუკების შექმნაში.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და მკვლევართა შორეულ ქვეყნებში მოგზაურობა, როგორებიც იყვნენ კრისტოფერ კოლუმბი, ვასკო და გამა, ფერნანდო მაგელანი უფრო ზუსტი მსოფლიო რუკების შექმნას უწყობს ხელს.

გეოგრაფმა გერჰარდ მერკატორმა და სხვა პიონერებმა, შეიმუშავეს რუკების პროექციები, რომლებიც ამცირებდნენ დედამიწის დეფორმაციას და მისი ზედაპირის გეომეტრიული საშუალებებით აღწერას შესაძლებელს ხდიან, რის საფუძველზეც კარტოგრაფები ადგენენ გეოგრაფიული ცოდნის ატლასებს.

განმანათლებლობის ეპოქაში მეცნიერული მიდგომები კარტოგრაფიის მიმართ გამოკვეთილად იზრდება. ინოვაციებმა გეოდეზიაში, ტრიგონომეტრიასა და ასტრონომიაში განაპირობა მეტი სიზუსტის მქონე რუკების შექმნა. მე-18 და მე-19 საუკუნეებში გაჩნდა ეროვნული რუკების სააგენტოები, როგორიცაა Ordnance Survey ბრიტანეთში და შეერთებული შტატების გეოლოგიური სამსახური, რომლებსაც დაევალათ დეტალური ტოპოგრაფიული რუკების შექმნა. მე-20 საუკუნეში გამოჩნდა საჰაერო ფოტოგრაფია, სატელიტური გამოსახულება და ციფრული რუკების ტექნოლოგიები, რამაც რევოლუცია მოახდინა კარტოგრაფიის სფეროში და რუკები უფრო ხელმისაწვდომი და დინამიური გახადა.

01.2. რა არის რუკის დანიშნულება და როგორ წავიკითხოთ ის

რუკა როგორც გარემოს ვიზუალური თხრობა' აბრევიატურები, აღნიშვნები, ლეგენდა

რუკა როგორც გარემოს ვიზუალური თხრობა ადგილის აღწერის ერთ-ერთი საშუალებაა. ამასთან ერთად რუკას აქვს კულტურული, სოციალური და პოლიტიკური დანიშნულება. შინაარსის მიხედვით განასხვავებენ ზოგადგეოგრაფიულ და თემატურ რუკებს. ძოგადგეოგრაფიული რუკები წარმოადგენს ხილულად დაკვირვებადი რუკების გამოსახულებას: რელიეფი, მდინარეთა ქსელი, დასახლებული პუნქტები და სხვ). თემატური რუკები კი შეიძლება იყოს გეოფიზიკური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, კლიმატური და ა.შ.

რუკების უმრავლესობას აქვთ საერთო ელემენტები, ესენია: მასშტაბი, პირობითი ნიშნები, კოორდინატთა ბადე. რუკის ლეგენდა წარმოადგენს რუკაზე გამოყენებული პირობითი ნიშნებისა და სხვადასხვა აღნიშვნების ტექსტურ განმარტებებს. ასევე ყველა რუკას უნდა ჰქონდეს ჰიდროგრაფიული ქსელი, დასახლებული პუნქტები და საზღვრები, ვინაიდან ისინი გეოგრაფიულ სივრცეში ორიენტირებისათვის აუცილებელია.

ზოგადგეოგრაფიული რუკები გამოიყენება ტერიტორიის ზოგადი შესწავლისა და ადგილზე ორიენტირებისთვის. ამ რუკის თემატური ფენებია: რელიეფი, ჰიდროგრაფია, დასახლებული პუნქტები, მცენარეული საფარი და გრუნტი, მრეწველობის, სოციალური და კულტურის ობიექტები, გზები და საგზაო ნაგებობები, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრები, და სხვა. ობიექტებს შესაბამისი უნივერსალური აღნიშვნები აქვს.

ნებისმიერი რუკის მთავარი ელემენტი მისი შინაარსია. მნიშვნელოვანია რუკის ელემენტების სწორად შერჩევა რომ გამართული და კვალიფიციური კარტოგრაფიული ნამუშევარი მივიღოთ.

01.3. რუკის ტიპები

თემატური რუკები – რა ინფორმაცია უნდა დავიტანოთ მასზე

კარტოგრაფი დენის ვუდის მიხედვით, რუკის შედგენა ან კარტოგრაფია შეიძლება გავიგოთ, როგორც სივრცის შექმნისა და წარმოსახვის აქტი, სწორედ ამიტომ ის სივრცის წარმოქმნის მძლავრი ინსტრუმენტია. თანამედროვეობაში რუკა და კარტოგრაფია ყოველდღიურობის აღქმის და დაფიქსირების ინსტრუმენტებად ხშირად გამოიყენება. სივრცითი, მატერიალური და სოციალური კავშირების ვიზუალიზაცია, მათი მნიშვნელო-

ბების რუკაზე დატანა და კონკრეტულ ადგილთან ურთიერთმიმართების გამორკვევა, ურბანული ანთროპოლოგიის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტია. თუმცა, რუკის შედგენის უამრავი სხვადასხვაგვარი პრაქტიკა, ინტერდისციპლინარული მიდგომა და მეთოდი არსებობს, მნიშვნელოვანია კონკრეტული ამოცანისთვის შესაბამისი სპეციფიკის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობა.

ზოგიერთი მიდგომა სივრცითი ანალიზის პრაქტიკაზე დაყრდნობით, ველზე შეგროვებული მონაცემების ასახვით და გარემოზე დაკვირვებით ხასიათდება – პირველადი შრეებისა და ძირითადი ხერხების – სახელი, მასშტაბი, ადგილი, ლეგენდა – აღწერით იქმნება გარკვეული საინფორმაციო ენა, რომელიც რუკის წაკითხვის საშუალებას აძლევს დამთვალიერებელს.

01.4. თანამედროვე ტექნოლოგია და ციფრული რუკები

გეოინფორმაციული სისტემა, Google Earth, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ციფრული რუკა

დღეს მთელ მსოფლიოში აქტიურად გამოიყენება მონაცემთა სივრცითი ანალიზის პროგრამული საშუალებები – გეოინფცორმაციული სისტემები (გის). საქართველოში გისი უკვე აქტიურად გამოიყენება და საჯარო რეესტრის სააგენტოში სივრცითი მონაცემების შენახვის ერთ-ერთი ძირითადი ფორმატია.

ციფრული რუკები მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და ვიზუალიზაციის ერთგვარი ერთობლიობაა. რუკების შექმნის თანამედროვე ტექნოლოგია გეოგრაფიული ინფორმაციის ინტერაქტიული და დინამიური წარმოდგენის შესაქმნელად აგროვებს და აერთიანებს სატელიტურ სურათებს, აერო ფოტოებს, GPS ანაზომებს და სხვადასხვა სახის ინფორმაციას. მონაცემთა მოპოვების მეთოდები განსხვავდება რუკების პროექტის მასშტაბისა და მიზნის მიხედვით.

თანამედროვე რუკების პროგრამული უზრუნველყოფა და ბიბლიოთეკები იყენებენ „რენდერის“ მოწინავე ტექნიკას, ვიზუალურად მიმზიდველი და ინტერაქტიული რუკების შესაქმნელად. ციფრული რუკები გეოგრაფიულ მონაცემების გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა ინტერფეისის საშუალებით იძლევა, როგორიცაა მაგალითად ვებ ბრაუზერები, მობილური აპლიკაციები და სხვა. სხვადასხვა აპლიკაციები და ციფრული რუკები შესაძლებელს ხდის მონაცემთა სხვადასხვა ფენების დამუშავებას გეოგრაფიული ინფორმაციის შესწავლა ანალიზისთვის. ინტერაქტიული ფუნქციები, როგორიცაა ძებნა, მარშრუტიზაცია და გეოლოკაცია, აძლიერებს ციფრული რუკების გამოყენებადობას და ფუნქციონირებას.

დღევანდელ დღეს ციფრული რუკების პოპულარულ სერვისებს შორისაა Google Maps, Google Earth, OpenStreetMap. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ელექტრონული რუკა (https://maps.gov.ge/) საშუალებას იძლევა მოძიებულ იქნას სხვადასხვა სახის ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით. თემატურად დაყოფილი შრეების მიხედვით შესაძლებელია საკადასტრო და სამისამართო მონაცემების, ტრანსპორტისა და ჰიდროგრაფიის შესახებ ინფორმაციის მოძიება. ამავე გვერდზე განთავსებულია საქართველოს სხვადასხვა მასშტაბის ტოპოგრაფიული და საბაზისო რუკები.

02 საბჭოთა სისტემა და დღევანდელი სურათი

02.1. რეფლექსია წარსულზე

წინასწარი განწყობები და წარსულის ობიექტურად შეფასების მნიშვნელობა

საბჭოთა მმართველობას და ამ პერიოდში შექმნილ არქიტექტურას საქართველოს მოსახლეობაში ხშირად ნეგატიური განწყობა ახლავს თან (შესაძლოა არც თუ უსაფუძვლოდ). სუბიექტურად კონსტრუირებული სოციალური რეალობა ამ საფუძველს გარკვეულწილად თავად ქმნის. მისი ფორმირება ინდივიდუალური გამოცდილების მიხედვით ხდება, რომელიც თითქმის ყოველთვის სუბიექტურია. სოციალური რეალობის სურათის დამახინჯებაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს წინასწარი განწყობები და მოლოდინები. ლოგიკურ აზროვნებაზე გავლენას ახდენს ემოციური შეფასებები და წინასწარ არსებული უარყოფითი ინფორმაცია. საბჭოთა პერიოდში შექმნილი არქიტექტურის შესახებ არსებული ცოდნის და ინფორმაციის სიმწირე, შესაძლოა აძლიერებდეს ამ განწყობებს, და მოსახლეობაში სუფევდეს ნეგატიური ან/და ნიჰილისტური განწყობა ამ პერიოდის არქიტექტურული ნამუშევრების მიმართ. ამ განწყობის ობიექტური მიმართულებით განვითარებისთვის საჭიროა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და სამოქალაქო ცნობიერებაზე მუშაობა პროფესიული წრეების აქტიურობით.

საბჭოთა პერიოდის ქალაქის მოწყობაზე, არქიტექტურული ობიექტების მნიშვნელობასა და მათ სოციალურ კონტექსტზე ინფორმაცია, ხელს შეუწყობს მკვლევარს აღწერის პროცესში ადვილად მიაკვლიოს ინფორმაციას ამა თუ იმ საკვლევ ობიექტზე და ფაქტებზე დაყრდნობით შეაფასოს ინფრასტრუქტურა. საბჭოთა ქალაქის მოწყობის პრინციპების ცოდნა გააადვილებს სამიზნე ობიექტების ქალაქის ურბანულ ქსოვილში აღმოჩენას.

02.2. საბჭოთა ქალაქის ურბანული სტრუქტურა და არქიტექტურა

არქიტექტურული ობიექტების მნიშვნელობა და მათი სოციალური კონტექსტი.

საბჭოთა პერიოდის ურბანული დაგეგმარება ცენტრალიზებული მართვის პრინციპით ფუნქციონირებდა, რის საფუძვლადაც რეგულირდებოდა ნებისმიერი სახის ქალაქგანვითარება. ქალაქის ზრდა, ფუნქციური ზონირება, მასიური საბინაო მშენებლობა, არქიტექტურის სტილი და ხასიათი, სტანდარტიზაცია თუ სამშენებლო რეგულაციები ერთიანი ხედვის შემადგენელ ნაწილებად მოიაზრებოდა. ცენტრალიზებული დაგეგმვა განსაზღვრავდა საბჭოთა კავშირის ყველა დიდი, თუ პატარა ადმინისტრაციული ერთეულის სტრუქტურულ განვითარებას.

საბჭოთა ქალაქგეგმარება, ურბანული ზრდა და განვითარება იგეგმებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ. სახელმწიფოს განვითარების გეგმა ეფუძნებოდა ეროვნულ ეკონომიკურ გრძელვადიან მიზნებს.

ქალაქის გეგმარებითი სქემა, როგორც წესი, ფუნქციური ზონების მიხედვით ორგანიზდებოდა. დაგეგმარებისას გათვალისწინებული იყო პოლიტეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტური სპეციფიკა – ცენტრალურ ნაწილში თავსდებოდა სამთავრობო და კულტურული დანიშნულების შენობები საჯარო სივრცეებით და ამ ცენტრის გარშემო ვითარდებოდა საცხოვრებელი უბნები, ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით. დიდი ყურადღება ექცეოდა ცენტრალური მოედნების, გამზირებისა და ფართო ბულვარების პროექტირება-მოწყობას, სამანქანო ინფრასტურქტურაზე გათვლილი ქუჩათა ქსელის დაგეგმავს, ამასთან დასასვენებელი და სარეკრეაციო სირვცეების კეთილმოწყობას. საბჭოთა ქალაქგეგმარების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, მზარდი ურბანული მოსახლეობის განთავსება და მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა იყო. შესაბამისად იქმნებოდა საცხოვრებელი უბნების სტანდარტიზებული კომპლექსები, რომლებიც ცნობილია როგორც „მიკრორაიონები“ ან „საძილე უბნები“. სამრეწველო-ინდუსტრიული ზონები, როგორც წესი, ცენტრისგან მოშორებით, ქალაქის შემოგარენში იგეგმებოდა, სხვადასხვა დაწესებულებები, როგორიცაა სკოლები, ბაღები და საავადმყოფოები, საცხოვრებელ უბნებში, იმგვარად რომ მოსახლეობისთვის ადვილად ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

აღსანიშნავია ის, რომ საზოგადოებრივი შენობები, ძეგლები, და საჯარო ხელოვნება ემსახურებოდა სოციალისტური იდეების პროპაგანდას. სოციალისტური სიმბოლოები, შრომის, წინსვლისა და პროგრესის, ერთიანობის, მუშათა კლასის მიღწევების თემატიკით შექმნილი ნამუშევრები დღესაც გვხვდება შენობის ფასადებზე, საზოგადოებრივ სივრცეებში, სკვერებში, მეტროებში, ავტობუსების გაჩერებებზე.

სოციალისტური ეკონომიკის მზარდი განვითარება და სწრაფი ურბანიზაცია მოითხოვდა მშენებლობის სტანდარტიზაციას, ამ მიდგომამ ნაშენ გარემოს ერთგვაროვნებისა და ერთფეროვნებისკენ უბიძგა, სწორედ ამიტომ დიდია საბჭოთა ქალაქების მსგავსება, როგორც ინფრასტრუქტურით, ასევე იდენტური საცხოვრებელი შენობების რიგებით. ასევე, დიდი მსგავსებაა ინდუსტრიულ და საწარმო-სამრეწველო ნაგებობებშიც, რომლებიც ტიპური პროექტებით იქნებოდა.

ბევრი აქვს საერთო საჯარო-საზოგადოებრივ შენობებსაც, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანებიდან გამომდინარე, არქიტექტურის სახე იცვლებოდა.

მაგალითად, სტალინის პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო „ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური“ არქიტექტურა, რაც მისი მხრიდან კონსტურქტივიზმის აკრძალვას მოჰყვა და „სტალინური ამპირის“ სახელით დამკვიდრდა. ამ პერიოდის არქიტექტურა ხასიათდება მოკაზმული, ორნამენტებით დატვირთული, მონუმენტური, ეროვნული ელემენტებით და საკმაოდ ძვირად ღირებული ნაგებობებით.

50-იან წლებში ხრუშჩოვის მოსვლასთან ერთად, მისი მნიშვნელოვანი განკარგულება „არქიტექტურაში ზედმეტობების აღმოფხვრის შესახებ“ მაქსიმალურად სადა შენობების შენებას განაპირობებს და შესაძლებელს ხდის სწრაფი და იაფი სამშენებლო საშუალებების გამოყენებით, სახოვრებელი ფონდის მასიურად განვითარებას.

60-იან წლებში ბრეჟნევის, საქართველოში კი ვასილ მჟავანაძის პერიოდში იქმნება ყველაზე მეტი მოდერნისტული შენობა, და პირველად 20 იანი წლების შემდეგ იხსნება გზა არიქტეტორებისთვის, შემოდის საერთაშორისო გამოცემები, და შესაძლებელი ხდება მოგზაურობა. ამ პერიოდში არიქტეორებს ეძლევათ საშუალება რომ იმუშონ არამხოლოდ ტიპურ და სტანდარტიზებულ შენობებზე, არამედ ინდივიდუალ პროექტებზეც – საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე.

მოკლე ისტორიული ნარატივითაც კი ცხადი ხდება, რომ საბჭოთა პერიოდის არქიტექტურას მრავალი სხვადასხვა ღირებულება და ხიბლი აქვს, ასევე არ ახასიათებს მხოლოდ ერთი სტილი და სხვადასხვა პერიოდში ნაგები შენობები, სხვადასხვა პოლიტიკური, კულტურული და საზოგადოებრივი მოვლენების შედეგია, რომლებიც დღესდღეობით მხოლოდ მონუმენტებადაა შემორჩენილი.

02.3. სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა

საბჭოთა ეკონომიკური სისტემის მოკლე აღწერა და დაშლილი ინფრასტრუქტურა

სოციალისტური ეკონომიკიდან კაპიტალისტურ ეკონომიკურ მოდელზე გადასვლა, განსაკუთრებით საქართველოს შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებებით გამოირჩეოდა. 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად დაიწყო საბჭოთა სისტემის დაშლის შედეგად გამოწვეული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები, ტერიტორიული და პოლიტიკური კონფლიქტები. კრიზისებს მოჰყვა სამხედრო გადატრიალება და კრიმინალური ბანდების გაძლიერება. სახელმწიფო ეკონომიკური ობიექტების დიდი ნაწილი ამ პერიოდში მოიშალა, გაიძარცვა და დაქუცმაცდა. ამ მოვლენებმა ხელი შეუწყო ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმვის სტრუქტურების მოშლსა და სოციალისტური ინსტიტუტების დემონტაჟს, რაც საბაზრო ეკონომიკისაკენ გარდამავალი პერიოდის დასაწყისი იყო. 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველომ დაიწყო პრივატიზაციის პროგრამები სახელმწიფო საწარმოებისა და აქტივების კერძო პირთა ხელში გადაცემის მიზნით. ეს პროცესი მიზნად ისახავდა მეწარმეობის სტიმულირებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკაში კონ-

კურენციის ხელშეწყობას. თუმცა, პრივატიზაციის მცდელობებს ხშირად თან სდევდა კორუფცია, აქტივების ჩამორთმევა და ქონების არათანაბარი განაწილება. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას თან ახლდა ეკონომიკური შოკები, ინფლაცია, უმუშევრობა და სოციალური გაჭირვება.

საბჭოთა ეკონომიკური სისტემიდან კაპიტალისტურზე გადასვლამ განაპირობა ეკონომიკური პრიორიტეტების ცვლა. სოციალიზმის პირობებში, ინდუსტრიული წარმოება ხშირად პრიორიტეტული იყო სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი კვოტების და ცენტრალიზებული ეკონომიკური გეგმების შესასრულებლად. თუმცა, კაპიტალიზმისკენ სვლასთან ერთად, აქცენტი გადავიდა საბაზრო ძალებზე, კერძო საწარმოებსა და უცხოურ ინვესტიციებზე. ეკონომიკური პრიორიტეტების ამ ცვლილებამ გამოიწვია მრავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ინდუსტრიული საწარმოს რესტრუქტურიზაცია ან დახურვა, რომლებიც აღარ იყვნენ კონკურენტუნარიანი ახალ ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკაში. ბევრი ინდუსტრია, რომელიც აყვავებული იყო სოციალიზმში, კაპიტალიზმზე გადასვლისას განიცდიდა დეგრადაციას. ეს უკუსვლა გამოწვეული იყო ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა მოძველებული ტექნოლოგია, გაძარცვული ინფრასტრუქტურა, არაეფექტური წარმოების მეთოდები, ინვესტიციების ნაკლებობა და გლობალურ ბაზრებზე კონკურენციის უუნაროობა. შედეგად, ქარხნები, საწყობები და სხვა სამრეწველო ობიექტები დარჩა ცარიელი ან არასაკმარისად გამოყენებული, რადგან ბიზნესები დაიხურა ან შემცირდა ოპერაციები. კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლა საქართველოში შოკურ ხასიათს ატარებდა, ეს პერიოდი ძლიერი ეკონომიკური არასტაბილურობით ხასიათდება. პოლიტიკური კრიზისის ფონზე შეზღუდული ინვესტიციებისა და ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოუვლელობის გამო ბევრი სამრეწველო შენობა დაზიანდა. ადაპტირებული ხელახალი გამოყენების გარეშე, ეს შენობები მოძველებული და არამიმზიდველი გახდა ახალი მოიჯარეებისთვის და ეკონომიკური საქმიანობისთვის.

სამრეწველო შენობების მიტოვებამ ასევე გავლენა მოახდინა კულტურულ და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე. ამ შენობებიდან ბევრი წარმოადგენს მათი შესაბამისი რეგიონების სამრეწველო მემკვიდრეობას, ასახავს სხვადასხვა ისტორიული პერიოდის არქიტექტურულ სტილებს. მათმა მიტოვებამ გააჩინა კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიული ღირსშესანიშნაობების დაკარგვის საფრთხე, რაც თავის მხრივ უახლესი ისტორიის შესწავლასაც უშლის ხელს.

02.4. მომავლის პერსპექტივა – ტრანსფორმაცია მეხსიერების შენარჩუნებით

მიტოვებული შენობების ადაპტაციის, ხელახალი გამოყენების თანამედროვე მაგალითები. კულტურის / შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება როგორც ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა

2016 წლის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, 2016 წლის დოკუმენტში „კულტურის სტრატეგია 2025“, საუბარია შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების მნიშვნელობაზე – „შემოქმედებითი ინდუსტრიები არის იმ სექტორთა ერთობლიობა, რომლებიც მატერიალურ და სოციალურ სიკეთეს, შემოქმედებითობას და ნიჭზე დაფუძნებული პროდუქტისა თუ მომსახურების შექმნით აგენერირებენ“. შემოქმედები-

თი ინდუსტრიების განვითარების მნიშვნელობასთან ერთად მოყვანილია მაგალითები – როტერდამის მიტოვებულ მარცვლეულის საწყობი, სადაც 2018 წელს ერთ ჭერქვეშ გაერთიანდა კრეატიული ინდუსტრიები, რის შედეგადაც ქალაქის გარეუბანში ახალი მიზიდულობის ცენტრი გაჩნდა, სადაც 180-მდე მცირე ზომის კომპანიას გამოეყო სამუშაო სივრცე. მსგავსი მაგალითები მსოფლიო მასშტაბით უამრავია, რაც ნათლად ცხადყოფს, არაფორმალური სივრცეების საჭიროებას. მაგალითები ასევე კარად ასახავს, სამთავრობო სექტორს, კერძო ბიზნესს და განათლების ინსტიტუციებს შორის საჯარო-კერძო პარტნიორობის პრეცედენტებს და შესაძლებლობებს. 2025 ის სტრატეგიაში ხაზგასმულია კულტურის დადებითი გავლენა ტურიზმზე, თუ რამდენად დიდია ხელოვნებისა და კულტურის როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების როლი ეკონომიკის განვითარებაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და განსხვავდება თითოეული ერისთვის გამოწვევებითა და შესაძლებლობებით. ეს ინდუსტრიები ხელს უწყობენ სამუშაო ადგილების შექმნას, ტურიზმსა და საერთაშორისო ურთიერთობებს, თუმცა ისინი აწყდებიან გამოწვევებს, როგორიცაა დაფინანსების შეზღუდვები და მარეგულირებელი ბარიერები. სტრატეგიული ინვესტიციებით და თანამშრომლობით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ კულტურისა და შემოქმედების ეკონომიკური პოტენციალი მდგრადი ზრდისა და გლობალური კონკურენტ უნარიანობისთვის. იმისათვის, რომ სახელოვნებო სფერომ გამოიყენოს ფუნქცია შეცვლილი შენობები ინდუსტრიის განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია რომ ამ ნაგებობებმა დააკმაყოფილონ თანამედროვე სამშენებლო სტანდარტები. ძირითადად ყოფილი ინდუსტრიული ან სხვა საბჭოთა პერიოდის ნაგებობები ტექნოლოგიურად გამართვას საჭიროებენ – ენერგოეფექტურობის, ხანძარმედეგობის, სანიტარიული ნორმების, ხელმისაწვდომობის, ვენტილაციისა და გაგრილების სისტემების, თუ სხვა კომპონენტების განახლება ამ ტიპის შენობებში თანამედროვე სტანდარტების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი პირობაა. თანამედროვე მსოფლიოში და განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა კონტექსტში კულტურა და შემოქმედებითი ინდუსტრიები ეკონომიკური განვითარების განუყოფელი ნაწილი გახდა, რასაც ცხადყოფს წარმატებული მაგალითებიც.

თვალსაჩინოებისთვის, განვიხილოთ რამდენიმე ცნობილი მაგალითი:

Source: www.allbc.info

1. Art Zavod Platforma (კიევი, უკრაინა)

artzavodplatforma.com

Art Zavod-ი, ყოფილი აბრეშუმის ქარხანა დღეს კულტურული მიზიდულობის ცენტრია კიევის გარეუბანში. 40 წლიანი მუშაობის შემდეგ, ქარხანამ 1993 წლისთვის წარმოება შეაჩერა. კერძო მფლობელმა ქარხნის ნაწილი სავაჭრო ცენტრად აქცია. 2014 წელს დაიწყო 120 000 კვადრატული მეტრი ტერიტორიის ტრანსფორმაცია. აქ ტარდება მუსიკის ფესტივალები, ფილმის ჩვენებები, გამოფენები, არის საერთო სამუშაო სივრცეები.

ამ მრავალფეროვან სივრცეს სტუმრობენ კულტურის და შემეცნების მოყვარულები, გართობის და დასვენების მიზნით. – archive.kyivpost.com

Source: www.facebook.com/karifabrika

2. Kari Fabrika – (დილიჯანი, სომხეთი)

Karifabrika.am

2022 წელს ევროკავშირის ხელშეწყობით საფუძველი ჩაეყარა პროექტს, რომელიც გულისხმობს საბჭოთა პერიოდის სამკერვალო ქარხნის ინოვაციურ სივრცედ ტრანსფორმაციას. აღსანიშნავია, რომ პროექტს განახორციელებს დილიჯანის მუნიციპალიტეტი ევროკავშირის (1 მილიონი ევრო) და ფონდი IDEA-ს თანადაფინანსებით.

ამ პროექტის მიზანია ეკონომიკის ზრდა თავუშის რეგიონში და ადგილობრივი რეწვის, მეწარმეობის ხელშეწყობა, დილიჯანისთვის ახალი კულტურული ცენტრის შექმნა. – https://eu4business.eu/

3. ფაბრიკა (თბილისი, საქართველო)

fabrikatbilisi.com

„ფაბრიკა თბილისი“ არქიტექტურული კომპანია MUA-ს ნამუშევარია. ყოფილი საბჭოთა ეპოქის სამკერვალო ქარხნის ადაპტაციის პროცესი 2015 წლიდან დაიწყო. „თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ უბანში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ყოფილი სამკერვალო ფაბრიკის ტერიტორია, ურბანული კულტურის სიცოცხლით სავსე ცენტრად იქცა, რამაც მდიდარი ისტორიის მქონე მიძინებული უბანი გამოაცოცხლა და მისი ხიბლი ერთბაშად წინ წამოსწია. ფუნქციადაკარგულ, ყოფილ საწარმოო ნაგებობას, MUA-მ ახალი სული შთაბერა და მულტიფუნქციური, დინამიური როლი მიანიჭა, სადაც შემოქმედებითი ენერგიით დამუხტული სივრცეები, შეუჩერებლად იზიდავს სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და ინტერესების მქონე ადამიანებს, ადგილობრივებს, სტუმრებსა თუ მოგზაურებს. ფაბრიკა, სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად, რეგიონში ყველაზე დიდ ახალგაზრდულ ჰოსტელსაც ითავსებს“. – mua.ge

4. ცოლფერაინის სამრეწველო კომპლექსი – Zeche Zollverein (ესენი, გერმანია)

zollverein.de

XIX და XX საუკუნეებში მოქმედი ქვანახშირის მაღაროს კომპლექსი 2001 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლია. იგი გამორჩეულია მაღალი მხატვრული და არქიტექტურული ღირებულებით. 1986 წლიდან, როდესაც მაღარო მარაგების ამოწურვის გამო დაიხურა, ეს კომპლექსი განვითარდა როგორც უდიდესი ტურისტული ღირსშესანიშნაობა რეგიონში.

ინდუსტრიული არქიტექტურულ კომპლექსში მოქცეულია კულტურული, სპორტული, დასასვენებელი, საკვები და სავაჭრო ობიექტები. ინდუსტრიული შენობები იმგვარად არის ადაპტირებული რომ მათში სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები განთავსდა. მთავარ შენობაში განთავსებულია რურის მუზეუმი მუდმივი გამოფენით რურის რეგიონის ისტორიასა, კულტურასა და ბუნებაზე, Red dot design მუზეუმი, სადაც საერთაშორისო დიზაინ პროდუქტების მუდმივი და დროებითი გამოფენები ეწყობა. სხვადასხვა სამრეწველო სივრცეები ეთმობა აუზს, საციგურაო მოედანს. ესენის ცოლფერაინის ყოფილი ინდუსტრიული ტერიტორიის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია.

5. სტატისტიკის სახლი – Haus der Statistik – (ბერლინი, გერმანია)

hausderstatistik.org

Haus der Statistik ისტორიული კომპლექსია ბერლინში, რომელიც თავდაპირველად 1960-იან წლებში სამთავრობო ოფისისთვის აშენდა. კომპლექსი ცნობილია უნიკალური არქიტექტურით, მოდერნისტული და ბრუტალისტური ელემენტების სინთეზით. შენობის რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ნაწილი ქმნის შიდა, ცენტრალურ ეზოს, სადაც სადაც ბევრი სხვადასხვა დანიშნულების სივრცეა. 2000-იანი წლებიდან დაიწყო ამ ადგილის სოციალურ-კულტურულ ცენტრად ქცევის პროცესი, სახელოვნებო სფეროს დამოუკიდებელი წარმომადგენლების და სამთავრობო ინსტიტუციების თანამშრომლობით.

შენობაში განთავსებულია ხელმისაწვდომი საცხოვრებლები, სახელოვნებო სტუდიები, სამუშაო და კულტურული ღონისძიების სივრცეები. Haus der Statistik-ი ურბანული თანამონაწილეობითი დაგეგმარების, თუ მიტოვებული სივრცეების ადაპტირების კუთხით მნიშვნელოვანი სიმბოლოა მსოფლიო რუკაზე. ის ასახავს ხელახალი გამოყენების ფართო შესაძლებლობებს და შემოქმედებითი ინდუსტრიების როლს, სოციალური ერთობის გაძლიერებაში.



6. Zeitz MOCAA and the Silo Hotel – ცაიტცის აფრიკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი და სასტუმრო სილო (კეიპტაუნი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა)

heatherwick.com/projects/buildings/zeitz-mocaa
https://zeitzmocaa.museum
theroyalportfolio.com/the-silo-hotel

კეიპტაუნის ცნობილი მარცვლეულის სილო, რომელიც ხორბლის და სიმინდის სათავსს წარმოადგენდა დღეს ერთ-ერთ კულტურული ღირსშესანიშნაობაა სამხრეთ აფრიკაში. მარცვლეულის სილო და მთელი კომპლექსი შერეული გამოყენების ადგილად გადაიქცა, რომელშიც მოწყობილია მდიდრული სასტუმრო, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, საცხოვრებელი აპარტამენტები და სავაჭრო სივრცეები.

The Silo-ს ცენტრალური ნაწილი აფრიკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს უკავია (Zeitz MOCAA), რომელიც 2017 წელს გაიხსნა. მუზეუმის გარდა, სილოში განთავსებულია The Silo Hotel, ძვირად ღირებული აპარტამენტები ხედებით კეიპტაუნის სანაპიროსა და მთის პანორამაზე. The Silo-ს ხელახალი გამოყენებით გაცოცხლდა ისტორიული სანაპირო Victoria & Alfred Waterfront-ი, რამაც ასევე ხელი შეუწყო კეიპტაუნის სახელოვნებო და კულტურული სცენის განვითარებას, ტურისტულ მიმზიდველობას და ეკონომიკურ ზრდას. ის იქცა ურბანული განახლების და ხელახალი გამოყენების, ხელოვნების, არქიტექტურისა და სტუმართმასპინძლობის ერთმანეთში შერწყმის სიმბოლოდ.

– – –

მაგალითებიდან ჩანს, რომ თანამედროვე მსოფლიოსთვის უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ისტორიულ – კულტურული, თუ არქიტექტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საკითხი. მომავლის პერსპექტივა – არსებულის ტრანსფორმაცია მისი მეხსიერების შენარჩუნებით, მიტოვებული შენობების ადაპტაციის, ხელახალი გამოყენების თანამედროვეობის მოთხოვნებზე მორგებით, საშუალებას იძლევა არა მხოლოდ კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას მიეცეს ბიძგი ეკონომიკური ზრდისთვის, არამედ ისტორიულად მნიშვნელოვან მატერიალურ და არამატერიალურ რესურსიც შენარჩუნდეს.

არსებული ნაშენი გარემოს დაცვის და შენარჩუნების მნიშვნელობა მაშინაც აქტუალურია, როცა უშუალოდ, ესა თუ ის ნაგებობა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ არქიტექტურულ ან ისტორიულ ღირებულებას, რადგან აქტიურად ისმის კითხვები ეკოლოგიურ მდგრადობასა და სამშენებლო ნარჩენების შემცირებაზეც.

შენარჩუნება და ხელახალი გამოყენება არქიტექტურული მიდგომების და ხედვების მაფორმირებელი გარემოება გახდა, რაც მასიური მშენებლობების ნეგატიური ზეგავლენისგან გარემოს დაცვის ერთ-ერთი ინსტრუმენტია.

ნაწილი მეორე

01 მუნიციპალიტეტის ტერიტორიული სურათი

01.1. კვლევისპროცესი და მისი შემადგენელი ეტაპები

არსებული ინფორმაციის მობილიზება და საველე სამუშაო

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესი არ საჭიროებს სპეც.განათლებას. სამუშაოების სწორად წარმართვისათვის შეიქმნა აღნიშნული მეთოდოლოგია. ინფორმაციის მოძიებისას საჭიროა მხოლოდ კომპიუტერის მოხმარების საბაზისო ცოდნა და ისეთი უნარები როგორიცაა ანალიტიკური აზროვნება, საკომუნიკაციო, ფოტოგრაფია, წერითი უნარ-ჩვევები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ კვლევის დიზაინი პროცესში იხვეწება და განიცდის ცვლილებას კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. შედეგად მიმდინარეობისას შესაძლოა დაკორექტირდეს მიდგომები, გაჩნდეს ახალი ამოცანები და სხვადასხვა შემთხვევების გადაჭრის გზები.

კვლევის ეტაპი რამდენიმე საფეხურისგან შედგება, ესენია:

- ინფორმაციის მობილიზება – ინფორმაციის მოძიება ყველა შესაძლო წყაროდან;
- საველე სამუშაო – ობიექტის მონახულება და ფოტო ფიქსაცია;
- პასპორტის შევსება (პასპორტის შევსების სპეციფიკა დეტალურად იქნება განხილული შემდეგ თავში).

01.2. ეტაპი I – ინფორმაციის მობილიზება

კვლევის პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საკვლევი არეალი. საჭიროა დადგინდეს მუნიციპალიტეტის ფართობი, მისი ადმინისტრაციული ცენტრი და ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობა. (საკვლევი ობიექტების რაოდენობა რა თქმა უნდა დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის სიდიდეზე).

ობიექტების მოძიება და აღნუსხვა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ცენტრის ყველაზე ახლომდებარე არეალიდან, ხოლო შემდეგ საკვლევი არეალი დროისა და ფიზიკური რესურსების გათვალისწინებით შესაძლოა გაფართოვდეს.

ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა ხერხით არის შესაძლებელი:

- პირველი ეტაპი იწყება ონლაინ ძიებით/კვლევით – რაც გულისხმობს გუგლის საძიებო სისტემაში (https://www.google.com) საკვანძო სიტყვების გამოყენებით ინფორმაციის შეგროვებას.
- გუგლის რუკების მეშვეობით (https://www.google.com/maps) ხდება საკვლევი არეალის გაცნობა და ვიზუალურად შესწავლა (სატელიტური გამოსახულებები ეს არის საშუალება „მოვიაროთ“ ქალაქი სახლიდან გაუსვლელად და ადვილად და სწრაფად დავათვალიეროთ დიდი ტერიტორიები. სატელიტურ გამოსახულებებზე ადვილად აღსაქმელია ქალაქის ქუჩათა ქსელი, შენობების მასშტაბი, საინტერესო ობიექტები, გამწვანება და რეკრეაცია, სატრანსპორტო ქსელი, ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა).
- მას შემდეგ როცა მოძიებულია კვლევის ობიექტი, შემდეგი ეტაპია მის შესახებ საჯარო რეესტრში, მერიაში, ქალაქის ან რაიონული ბიბლიოთეკებში და არქივებიდან ინფორმაციის გამოთხოვა, მუნიციპალური ბაზების ინფორმაციის გამოყენება.

რეკომენდაცია: ძალიან გამოსადეგია აგრეთვე ინფორმაციის მოძიების არაფორმალური გზები, როგორიცაა ნაცნობებსა და ახლობლებში ინფორმაციის გაკითხვა. ზეპირი ისტორიებისა და გადმოცემების გამოყენება, ადგილზე არსებული მოსახლეობის გამოკითხვა (ეს მეთოდი საველე სამუშაოების თავში უფრო დეტალურად იქნება განხილული).

შენიშვნა: მოპოვებული ინფორმაციის სანდოობისა და ობიექტურობისთვის, მნიშვნელოვანია პასპორტის დოკუმენტში დაფიქსირდეს ინფორმაციის წყარო და მისი მოპოვების ხერხები.

მნიშვნელოვანია: გასათვალისწინებელია პროექტის მონაწილე მკვლევრების, როგორც ადგილობრივების აზრი, ვინაიდან მათ იციან ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები და სურვილები თუ რა სჭირდება კონკრეტულ რეგიონსა და ადგილს, რის ნაკლებობას განიცდის და რომელი შემოქმედებითი მიმართულებების განვითარება იქნებოდა მათთვის საინტერესო, შესაბამისად მათ ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

რეკომენდაცია: აღნუსხვის პროცესში გამოსადეგია ყოველმხრივი ჩართულობა და დახმარება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივების ხმას და ინიციატივას სივრცეების შესწავლის და მათი სამომავლო გამოყენების იდეებზე ფიქრისას. სამოქალაქო სექტორის ჩართულობა გადამწყვეტია ისეთ პროცესებში, რომლებიც საწყისშივე გულისხმობენ საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტების წამოწყებას.

პროცესში ადგილობრივების ჩართვა სხვადასხვაგვარი ხერხით არის შესაძლებელი. სხვადასხვაგვარი მიდგომა დასჭირდება ყველა ასაკობრივ ჯგუფს.

სკოლის მოსწავლეებისთვის შესაძლოა გამოცხადდეს კონკურსი სადაც ისინი დახატავენ, დაწერენ, შექმნიან ქალაქის რუკას, სადაც თვითონვე აღნიშნავენ მათთვის საინტერესო ადგილებს, და სამომავლო სურვილებსაც დაწერენ თუ როგორ ხედავენ მათი გარემოს განვითარებას.

სტუდენტების ჩართულობა შესაძლოა მოხდეს მათთვის პატარა სამუშაო შეხვედრის ჩატარებით, სადაც თითოეული მათგანი მათ საცხოვრებელთან არსებულ ერთ რომელიმე კულტურულ ობიექტზე მოიძიებს ინფორმაციას და შემდეგ წარუდგენს აუდიტორიას.

იმ ასაკობრივ ჯგუფისგან, რომლებმაც საბჭოთა კავშირში გაატარეს მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, და ცოცხალ ენციკლოპედიას შეგვიძლია შევადაროთ, უძვირფასესი ინფორმაციის მიღება არის შესაძლებელი. მათთან ინტერვიუების ციკლის ჩატარება ყველაზე სწორად მიზანმიმართული ქმედება იქნება.

01.3. ეტაპი 2 – საველე სამუშაო

მას შემდეგ როცა საკვლევი ობიექტი მოძიებულია, საჭიროა გარემოს შესწავლა. საველე კვლევა გულისხმობს:

- ადგილის მონახულებას;
- ფოტო ფიქსაციას და ვიზუალურ შეფასებას;
- საველე ჩანაწერების წარმოებას (ის ჩანაწერები, რომელთაც მკვლევარი საველე კვლევისას აწარმოებს ეთნოგრაფიული კვლევის არსებითი კომპონენტია).

იქონიეთ მხედველობაში: ვიზუალური/გარეგნული დათვალიერების წაკითხვით ვიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას შესასწავლი ობიექტის გეოგრაფიული, სოციალური, დანიშნულების მისი კატეგორიზაციის შესახებ. ობიექტის არქიტექტურული სტილი გვაძლევს იმის საშუალებას რომ განვსაზღვროთ მისი კუთვნილება ისტორიულ პერიოდთან, აბრა-ლოგო მის ფუნქციურ დანიშნულებაზე გვანიშნებს. ქალაქის ურბანულ ქსოვილში ობიექტის განლაგებაც იძლევა იმის შესახებ წარმოდგენას, თუ რა დატვირთვა და ფუნქცია შეიძლებოდა ჰქონოდა მას.

პირველადი გარეგანი დათვალიერების შედეგად შესაძლებელია კვლევისათვის შემდეგი საჭირო კითხვების ფორმულირება.

ველზე გასვლა შესაძლოა რამდენიმეჯერ იყოს საჭირო:

1. პირველი დაზვერვითი გასვლა – პირველივე გასვლისას მნიშვნელოვანია ადგილზე არსებული „დამხვდურების“ ნდობის მოპოვება, მათთვის თავის წარდგენა, პროცესის და ვიზიტის ნათლად განმარტება და ნებართვის თხოვნა ტერიტორიის თუ შენობის დათვალიერებისთვის.
2. მეორე გასვლა – საჭიროა შეგროვებული მასალის გაცნობის შემდეგ, ინფორმაციის დასაზუსტებლად და დასახვეწად. მეორე გასვლასთან ერთად შესაძლოა დაიგეგმოს ინტერვიუ ადგილობრივებთან. ამ შემთხვევაში წინასწარ უნდა მომზადდეს კითხვარი ინტერვიუსთვის. შესაძლოა გაკეთდეს აუდიო/ვიდეო ჩანაწერი, რის შესახებაც რათქმაუნდა წინასწარ შეთანხმება და თანხმობის მიღება აუცილებელია. კითხვარში წინასწარ მომზადებულ საკითხებთან ერთად შეიძლება გაჩნდეს სპონტანური შეკითხვები, რომელიც წარმოიშობა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.
3. ველზე მუშაოების მესამე ვარიანტად შესაძლოა განხილულ იქნეს წინასწარ დაგეგმილი და შეთანხმებული შეხვედრები ან ადგილობრივებთან, ან იმ პირებთან ვისგანაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება.

   მნიშვნელოვანია: ინტერვიუს შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რესპონდენტი იქნება სუბიექტური და მათი შეხედულებები ინტერვიუებში აისახება. ასევე, მაგალითად რესპონდენტს შესაძლოა არ სურდეს სიმართლის გამხელა კონფიდენციალურობის დარღვევის შიშით, ან მან მხოლოდ ის გაამხილოს, რისი მოსმენაც მისი აზრით, ინტერვიუერს სურს.

   „წარმატებული საველე კვლევისთვის მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარმა სოციალური გარემოს მისეული „აღმოჩენა“ მოახდინოს.“ – („სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები“, ლია წულაძე, 2020, გვ.167)

01.4. აღსანუსხი ინფრასტრუქტურის კატეგორიები

ინფრასტრუქტურის აღნუსხვის მიზანია დავინახოთ მუნიციპალიტეტის ერთიანი სურათი, სადაც თვალსაჩინო იქნება ერთის მხრივ უფუნქციო, დაუკავებელი, ან ნაწილობრივ გამოუყენებელი ობიექტები, რომლებიც შესაძლოა სამომავლოდ იქცეს შემოქმედებით სივრცეებად, ან/და სხვა სფეროებმა გამოიყენონ თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად, მეორეს მხრივ კი მოქმედი ობიექტები, რომლებიც უკვე დატვირთულია აღნიშნული ფუნქციით.

აღნუსხვისას ინფრასტრუქტურა სასურველია დაიყოს სამ ძირითად კატეგორიებად:

1. „თავისუფალი“ სივრცეები – უფუნქციო, დაუკავებელი, ან ნაწილობრივ გამოუყენებელი სივრცეები, რომელთა შემდგომი გამოყენება შესაძლებელია;
2. მოქმედი სივრცეები – რომლებიც შემოქმედებითი გამოყენებებით უკვე არის დატვირთული;
3. შერეული სივრცეები – სადაც ნაწილი თავისუფალია, ნაწილი დატვირთული.

პირველი კატეგორია – თავისუფალი (უფუნქციო, დაუკავებელი, ან ნაწილობრივ გამოუყენებელი) **სივრცეები:**

პროექტის ფარგლებში უნდა აღინუსხოს ერთის მხრივ თავიდანვე კულტურის სფეროსთვის შემქნილი ინფრასტრუქტურა, როგორიცაა კულტურის სახლი, კლუბი, კინოთეატრი, თეატრი და ა.შ. მეორეს მხრივ ადგილზე არსებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც ახლა სრულად უფუნქციოდ ან ნაწილობრივ უფუნქციოა და თავისი თავდაპირველი მიზნით არ გამოიყენება: ადმინისტრაციული შენობები, სასაწყობე, ინდუსტრიული ნაგებობები და სხვა.

ის ობიექტები, რომლებიც შეიძლება მომავალში შემოქმედებითი ან სხვა ფუნქციებით დაიტვირთოს, მაგალითად სახელოსნოები მაღალი ჭერით და განათებით მხატვრებისთვის, სხვადასხვა ხელსაქმისთვის, მაღაზიებისთვის, გასტრო სკოლებისთვის და კაფეებისთვის, საოფისე სირვცეები არქიტექტორებისთვის და დიზაინერებისთვის, კინოჩვენებებისა და სპექტაკლებისათვის მორგებულ იდიდი სივრცეები, სალექციო დარბაზები შემეცნებითი შეხვედრებისათვის, ფესტივალების, კონცეტების, სხავდასხვა ღონისძიებების ჩასატარებელი დიდი პავილიონები, და სხვა.

მეორე კატეგორია – მოქმედი სივრცეები:

ცარიელ სივრცეებთან ერთად საინტერესოა აღიწეროს დღეს მუნიციპალიტეტში მოქმედი შემოქმედებითი სივრცეები, მაგალითად თავიდანვე კულტურის ობიექტად აშენებული შენობა, თუ რაიმე სხვა სივრცე. ადგილი სადაც გახსნილია რაიმე შემოქმედებითი წრე, მაგალითად რაიმე სხვა ფუნქციის შენობის დარბაზი, რომელიც ქირავდება ცეკვის სტუდიისთვის ან სხვა.

ამ სიით შეიქმნება მონახაზი მუნიციალიტეტში მოქმედი და აქტიური შემოქმედებითი პროცესების შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონულ სახელოვნებო ინიციატივების კავშირს ერთმანეთთან, და პროექტის ინიციატორებისა თუ დონორებისათვის გამოსადეგი ინფორმაციის ბაზა შეიკვრება.

იქონიეთ მხედველობაში: ვინაიდან 90-იანი წლებიდან სახელმწიფო ბალანსზე არსებული საზოგადოებრივი, თუ საწარმოო შენობების უმრავლესობა პრივატიზირებულია, სავარაუდოა რომ, კვლევის ფარგლებში აღსარიცხი შენობები კერძო მფლობელობაში იქნება. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია მათი აღრიცხვა ერთიანი სურათის გამოსაკვეთად და მთლიანობის დასანახად, შემგომში ამ ადგილების განვითარების მიზნით.

02 მონაცემთა ბაზა და ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვა

02.1. შეგროვებული მასალის გაციფრულება და თავმოყრა

მასალის მობილიზება გუგლის დრაივზე (https://drive.google.com/)

შეგროვებული მასალის მობილიზებისათვის შეირჩა Google Drive-ი, ფაილების შენახვისა და სხვადასხვა მოწყობილობებზე ამ ფაილების სინქრონიზაციის სერვისი. პროექტში ჩართულ მონაწილეებს საშუალება ექნებათ, ერთმანეთს ელექტრონულად გაუზიარონ საქაღალდეები შეგროვებული ინფორმაციით და ნებისმიერ დროს განაახლონ, ან დაარედაქტირონ ინფორმაცია. ეს ხერხი ინფორმაციის მიმოცვლის პროცესს გაამარტივებს.

შეიქმნება სამი საქაღალდე, ესენია:

1. მობილიზებული ინფორმაცია – აქ შეინახება კვლევის პირველ ეტაპზე მოძიებული ცნობები თითოეულ ობიექტზე, როგორიცაა მაგალითად ონლაინ სტატია, დოკუმენტები არქივიდან ან სხვა წყაროებიდან;
2. საველე კვლევა – აქ თითოეული ობიექტის შესაბამის საქაღალდეში შეგროვდება კვლევის პროცესის მეორე ეტაპზე შეგროვებული ინფორმაცია – ფოტოსურათები, საველე ჩანაწერები, ინტერვიუები და სხვა.
3. პასპორტი – აქ შეგროვდება შაბლონის მიხედვით შევსებული დოკუმენტი.*

   *ტრენინგების ეტაპზე დეტალურად იქნება განხილული საქაღალდეებთან მუშაობის პრინციპი.

02.2. სამუშაო ფაილების გამოყენება

როგორ შევავსოთ სამუშაო ფაილი „პასპორტი“

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ფაილზე მუშაობისას მნიშვნელოვანი ფაქტორია წყაროების სანდოობა. აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი ინფორმაციის მოპოვების წყაროს, ვინაიდან შემდეგ თავიდან ავიცილოთ გაუგებრობა და გვქონდეს შეცდომის მარტივად გამოსწორების საშუალება.

სამუშაო ფაილი სახელად **პასპორტი** წარმოადგენს შაბლონურ დოკუმენტს, რომელშიც არის გამზადებული შესავსები გრაფები. კვლევის პროცესში თუ რომელიმე გრაფა არ არის რელევანტური შერჩეულ ობიექტთან შესაძლოა მისი გამოტოვება, თუმცა არის განსაზღვრული გრაფები, რომელთა შევსებაც სავალდებულოა. დოკუმენტს თან ახლავს თითეული გრაფის შესაბამისი განმარტებები*

*ტრენინგების ეტაპზე დეტალურად იქნება განხილული დოკუმენტთან მუშაობის პრინციპი.

რეზიუმე

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მეთოდოლოგიას, რომელიც შეიქმნა „შემოქმედებითი კომპასი“-ის პროექტის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის და შენახვისთვის. მეთოდოლოგიის მიზანია შეასრულოს გზამკვლევის როლი, თუ როგორ აღინუსხოს საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებული ინფრასტრუქტურა, კერძოდ ის სივრცეები რომლებიც ამჟამად თავისუფალია, ან ნახევრად გამოყენებული და შესაძლებელია მათი რესურსად შეფასება და სამომავლოდ თანამედროვე ფუნქციით გამოყენება.

აღნუსხული სივრცეები შესაძლოა იყოს კულტურული დანიშნულების – თეატრისა თუ კინოს შენობა, კულტურის სახლი, სოფლის კლუბი; საგანმანათლებლო, კვლევითი ან სპორტული ნაგებობა – სკოლა, ბაღი, ბიბლიოთეკა, სხვადასხვა მიმართულების კვლევითი ინსტიტუტი, კომბინატი, სპორტ დარბაზი, სპორტ კლუბი, აუზი და სხვა; ინდუსტრიული ინფრასტრუქტურა, საწარმოო ან სასაწყობე სივრცეები; ასევე სასტუმრო-სანატორიუმები, კოტეჯები; სავაჭრო ინფრასტრუქტურა – ბაზრის შენობა უნივერმაღი, გასტრონომი, მაღაზია; სატრანსპორტო ობიექტები – რკინიგზის სადგური, დეპო, ავტობაზა.

პროექტის მთავარი ამოცანა, საქართველოს ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტების ფარგლებში არსებული „თავისუფალი“ (დაუკავებელი, ფუნქცია შეცვლი, უფუნქციო, ნაწილობრივ გამოყენებული) ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირება და აღრიცხვაა, იმისათვის რომ შეიქმნას „თავისუფალი“ სივრცეების ერთიანი ბაზა, რუკა, რეესტრი, რაც მათი რესურსული, თუ კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით შეფასების შესაძლებლობას გააჩენს. ამგვარი „რეესტრის“ არსებობა ხელს შეუწყობს იდენტიფიცირებული სივრცეების სიღრმისეულად შესწავლას და მათი სამომავლო გამოყენების, თუ შესაძლებლობების ანალიზს. ამასთან, თავისუფალი და ვაკანტური სივრცეების შესახებ ინფორმაცია, შესაძლოა შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვისაც იქცეს განვითარების საშუალება.

ამ ნაშრომის ავტორებს, როგორც არქიტექტორებს, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საბჭოთა მემკვიდრეობის და უახლესი წარსულის კვლევა, რადგან ჩვენი ხედვით, არსებულის აღიარება და შესწავლა, მასზე დაკვირვება, სამომავლო განვითარების მდგრადი და გრძელვადიანი გზების გამონახვა, თანამედროვე სამყაროში და ჩვენს ადგილობრივ რეალობაში არსებული გამოწვევების გათვალისწინების ერთადერთი მართებული გზაა.

ვინაიდან პროექტის მთავარი ამოცანა მუნიციპალიტეტის ფარგლებში შემოქმედებითი სივრცეების შექმნისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოძიებაა, აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით ბაზის შექმნის პროექტზე მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტებს ექნებათ შესაძლებლობა შეაფასონ თავიანთი ინფრასტრუქტურული რესურსები, ახლებურად გაიაზრონ ინდუსტრიული მემკვიდრეობის როლი და მათი ხელახალი გამოყენების გზები გამოძებნონ.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ამ თავისუფალი სივრცეების შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის გამოყენებით ხელი შეეწყობა რეგიონის განვითარებას, ასევე ეს პროცესი შემოქმედებითი ადამიანების ბიზნეს განვითრებას შეუწყობს ხელს.

ქმედებების ჯაჭვი, რაც „შემოქმედებითი კომპასის“ პროექტის ფარგლებში იგეგმება, გაზრდის მუნიციპალიტეტებში არსებული კულტურის, ინდუსტრიული და არქიტექტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერებას და შექმნის კულტურის ინფრასტრუქტურის, მიტოვებული ინდუსტრიული შენობების და სხვა ობიექტების ბაზას, რომლებიც შედეგად რეგიონებში მრავალფეროვანი და საინტერესო შემოქმედებითი წამოწყებებისათვის იქნება გამოყენებული.

გამოყენებული ლიტერატურა

წულაძე, ლია (2020) – „სოციოლოგიური კვლევის თვისობრივი მეთოდები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ISBN 978-9941-13-930-7 (pdf)

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, „კულტურის სტრატეგია

2025“, (2016) pdf)

ცანავა, ნინო (2021) „სოციალური რეალობა, როგორც ჩვენი სუბიექტური კონსტრუქტი“, https://intermedia.ge/ (accessed at 29.02.2024)

ლაოშვილი, ზურაბ (2013) – „გამოყენებითი კარტოგრაფიის საფუძვლები“, გამომცემლობა „გეოიდი 2011“

Genz Carolin, Lucas-Drogan Diana (2018) – “Decoding mapping as practice: an interdisciplinary approach in architecture and urban anthropology“ (pdf) https://www.researchgate.net/

Wood, D. (1992), “The Power of MapsThe Guilford Press, New York”

Potter, Jonathan (1989) – “Antique Maps – An Introduction to the History of Maps and how to Appreciate them”, Chartwell House, ISBN 978-1555213633 https://creatives.ge/ (accessed at 03.02.2024)

რას ვგულისხმობთ, როცა ვსაუბრობთ შემოქმედებით ინდუსტრიებზე?

- არქიტექტურა
- სახვითი ხელოვნება
- კინო და ვიდეო
- დიზაინი და მოდის ინდუსტრია
- მედია და მაუწყებლობა
- სახელოვნებო და კულტურის განათლება
- გასტრონომია და კულინარია
- მუსიკა
- რეკლამა
- საშემსრულებლო ხელოვნება
- რეწვა
- კულტურული მემკვიდრეობა
- ლიტერატურა და გამომცემლობა
- ციფრული ტექნოლოგიები